დამარცხდა ჩემპიონობის პრეტენდენტი

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 11 ოქტომბერი.

“დინამო” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 1:2 (1:2).

“დინამო” (მოსკოვი): ბელიაევი, კესარევი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, სოკოლოვი, ცარიოვი, ჩისლენკო (ურინი), კორშუნოვი, კოროლენკოვი, ფედოსოვი, შაპოვალოვი.

“დინამო” (თბილისი): კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ოდინცოვი (ლენინგრადი).

ლენინგრადში წაგებული მატჩის შემდეგ თბილისის დინამოელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დაკარგული ორი ქულის ანაზღაურება, ამიტომ მატჩის დაწყების წინ მათ მოგების მტკიცე გეგმა დასახეს. გამარჯვება მოსკოვის დინამოელებსაც სჭირდებოდათ, რადგან მოგებით ისინი იმტკიცებდნენ ლიდერის მდგომარეობას, სწორედ ამან განაპირობა ის ნერვული ფონი, რითაც დაიწყეს გუნდებმა თამაში. პირველი 10 წუთის მანძილზე ორივე მხარე ბევრ შეცდომებს უშვებდა. შემდეგ თანდათანობით დამშვიდდნენ ფეხბურთელები და მასპინძლებმა დაიწყეს შეტევის ორგანიზება. იერიშებში აქტიურად ჩაებნენ ნახევარმცველები სოკოლოვი და ცარიოვი, მაგრამ მოსკოველთა კომბინაციები საჯარიმო მოედნის მისადგომებთან იმსხვრეოდა. მიზეზი თბილისი “დინამოს” დაცვის ბრწყინვალე თამაში იყო, რომელსაც 45 წუთის მანძილზე საჯარიმო მოედნის შიგნით არც ერთი მოსკოველი თავდამსხმელი არ შეუშვია. ამის მიუხედავად, მასპინძლებმა პირველ ნახევარში რამდენიმე სახიფათო გარღვევა განახორციელეს, მაგრამ კოტრიკაძე ადრე ხვდებოდა მოსკოველ თავდამსხმელთა ჩანაფიქრს და ამიტომ მათი იერიშები უშედეგოდ მთავრდებოდა.

უვნებელჰყვეს რა თავიანთი კარის მისადგომები, თბილისელებმა დაიწყეს გეგმიანი კონტრშეტევა. მელაშვილი სულ უფრო ხშირად იტოვებდა უკან თავის მცველს (კუზნეცოვს) და სახიფათო მომენტებს ქმნიდა კარის სიახლოვეს. კალოევი აშკარად ჩაგრავდა კრიჟევსკის “საჰაერო” ბრძოლაში. შეტევის სული და გული ღოღობერიძე დაუღალავად მოქმედებდა, როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში. ბარქაია თბილისელთა მიერ წამოწყებული ყველა კომბინაციის აქტიური მონაწილე იყო, მესხი კი თავისი თვალშეუვლები ფინტების წყალობით, უკან იტოვებდა “დარაჯებს” და კარზე სახიფათო იერიშები მიჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა თანდათან თბილისელთა მხარეს გადავიდა, პირველი გოლი მაინც მასპინძლებმა გაიტანეს. შაპოვალოვმა გვერდიდან ჩამოაწოდა ბურთი, რომლის მისაღებად საჯარიმო მოედნისაკენ ერთდროულად გაქანდნენ კოროლენკოვი და თორაძე. მოსკოველმა ბურთს წამით უფრო ადრე მიუსწრო და ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი კარში _ 1:0.

გოლმა ოდნავადაც არ შეაკრთო თბილისელები. ახლა ინიციატივა მთლიანად მათ მხარეს გადავიდა. მარცხენა ფრთიდან ზედიზედ ხუთჯერ ჩამოაწოდეს კუთხური და აი, ერთი მათგანი (26-ე წუთზე) წარმატებით გამოიყენა ბარქაიამ. იგი სწორად დაეუფლა ბურთს და კარიდან გამოსულ ბელიაევს თავზე გადაუგდო _ 1:1.

ანგარიში გათანაბრდა. თამაშის ტემპი კი ერთი წუთითაც არ დამცხრალა. მოედნის სიღრმეში ბურთს დაეუფლა მესხი, რომელიც ოსტატური დრიბლინგით გაუსხლტა კესარევს და კარში დაარტყა. ბელიაევს ბურთი ხელიდან გაუვარდა და ბარქაიამ მშვიდად დააბრუნა უკან _ 2:1. შეხვედრის პირველი ნახევრის დამთავრებამდე თბილისელებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ მოწინააღმდეგის კარს არაზუსტად "ბომბავდნენ".

მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლებმა სცადეს ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ შეტევები არ იყო ეფექტური და კვლავ თბილისელთა საჯარიმო მოედნის მისადგომთან მთავრდებოდა. მათ არც მოედანზე სწრაფი ურინის შემოყვანამ უშველა, რადგან იგი თამაშიდან თითქმის გამოთიშა ხოჭოლავამ.

35-ე წუთზე მესხმა კვლავ ლამაზი დრიბლინგით აუარა გვერდი კესარევს და დიდი სისწრაფით შეიჭრა საჯარიმო მოედანზე. მის პარალელურად მირბოდა მელაშვილი. შეამჩნია რა მესხმა ახლო პარტნიორი, ბურთი მას გადასცა... მესამე ბურთი გავიდა მოსკოველთა კარში, მაგრამ მსაჯმა ეს გოლი საეჭვოდ ჩათვალა და თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კალოევმა თავზე გადაუგდო ბურთი კარიდან გამოსულ ბელიაევს, მაგრამ იგი სულ მცირე მანძილით ასცდა ზედა კუთხეს. 2:1 _ ასეთი ანგარიშით მოიპოვეს თბილისელებმა ეს ძნელი და საპატიო გამარჯვება.

თამაშის დამთავრების შემდეგ მრავალრიცხოვანი მაყურებელი დიდხანს არ ტოვებდა სტადიონის ტრიბუნებს. ისინი მოუთმენლად ელოდნენ თბილისელი ფეხბურთელების გამოსვლას და როდესაც ხალხში დაირხა ხმა, რომ თბილისელები გასახდელიდან გამოდიანო, ასობით გულშემატკივარი მიაწყდა კარებს, მქუხარე ტაშის ქვეშ აიტაცეს ფეხბურთელები ხელში. ასეთი შეფასება მისცა სამართლიანმა მაყურებელმა თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვებას.

ბ. ქორქია, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

"ლელო", 13 ოქტომბერი, 1959 წ.